ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 16
(გამარტივებული შესყიდვა)

ერთი მხრივ, ა.ა.ი.პ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი (ს/კ428521557) (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, გელა ნაროზაულის სახით, და მეორე მხრივ, ა(ა)იპ " საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია" (ს/კ 205234496) (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის დავით ხოსრუაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ა.ა.ი.პ.დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი <u>საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურეობების</u> (CPV კოდი 79210000) შესყიდვა;

2.2. მომსახურეობა მოიცავს:

- **მოძრავი აქტივების აღწერა, რეესტრის შედგენა:**
- **აქტივების ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვა;**
- **აქტივების ღირებულების შეფასება;**
- **აქტივების მარკირება ინვენტარიზაციისათვის განკუთვნილი დაბეჭდილი თვითწებვადი ეტიკეტებით (გარდა ჩამოსაწერი აქტივებისა);**
- **აქტივების დასურათება;**

- ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამაში აღრიცხვა;
- უძრავი აქტივების აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეესტრის შედგენა:
- აქტივების ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვა;
- აქტივების ღირებულების შეფასება;
- უძრავი აქტივების **GPS** კოორდინატების მიხედვით აღრიცხვა (წერტილის დასმა ინტერაქტიულ რუკაზე);
- დასურათება;
- ქონების მართვის პროგრამულ პლატფორმაში არსებულ რუკაზე დატანა;
- ქონების მართვის ელ. პროგრამის მომხმარებელთათვის პროგრამაში მუშაობის სწავლება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4000 (ოთხიათასი) ლარი;

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო: **ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.**

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურეობის გაწევა უზრუნველყოფა, 2023 წლის 17 თებერვლიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

4.2.1. მომსახურეობის გაწევის პროცესში შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები მიმწოდებელს, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მოთხოვილი მასალები და მისცეს შესაძლებლობა გასაწევი ობიექტის ვიზუალური დათვალიერება- შემოწმებისათვის;

4.2.2. მომსახურეობის გაწევის შემდეგ უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი, ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

4.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2.4. კონფიდენციალურად შეინახოს მის მიერ სასწავლო პროცესის დროს გამოყენებული მასალები და არ დაუშვას მათი მესამე პირისათვის გადაცემა შემდგომი გამოყენების მიზნით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. კონტროლს განახორციელებს: შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი-**გელა ნაროზაული.**

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება - ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

6.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი - **გელა ნაროზაული.**

6.3. (აუდიტორული დასკვანა აქტივების შეფასებაზე, ქონების მართვის ელ. პროგრამაზე წვდომა სადაც შეყვანილი იქნება ყველა აღწერილი აქტივი და ეს ყველაფერი ასევე იქნება ექსელის ცხრილის სახით.)

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>

ა.ა.ი.პ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი.
წარმოდგენილი დირექტორის გელა ნაროზაულის სახით.
ს/კ 428521557
მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ჭავჭავაძის ქ N 109

საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში , საბანკო კოდი TRESGE22

<u>მიმწოდებელი</u>

ა(ა)იპ - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია.წარმოდგენილი თავმჯდომარის დავით ხოსრუაშვილის სახით
ს/კ 205234496

მისამართი: ქ.თბილისი, ყაზბეგის 4.ბ.5.

საბანკო რეკვიზიტები:
GE11BG0000000894156700 საბანკო კოდი

BAGAGE22

გელა ნაროზაული

utility service center of dedoplistskaro municipality

Digitally signed by utility service center of dedoplistskaro municipality
Date: 2023.02.17 11:34:39 +04'00'

დავით ხოსრუაშვილი

David Khosruashvili 01008021734

Digitally signed by David Khosruashvili
Date: 2023.02.17 11:22:30